აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტროს
2020 წლის ანგარიში

საანგარიშო პერიოდში სამინისტროს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენდა:

- ინფრასტრუქტურული და სოციალური სახის პროგრამების ადმინისტრირება;
- დევნილთა საცხოვრებელ ობიექტებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შექმნის ხელშეწყობა (ფინანსური მხარდაჭერა);
- დევნილთა კანონიერი უფლებების დაცვა და მათი სამართლებრივი მხარდაჭერა;
- დევნილ მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისა და სამხედრო ძალების რეზერვთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;
- მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენა ან/და ფოტოიდენტურობის დადასტურება. პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღების ხელშეწყობა;
- დევნილთა ერთიანი მონაცემთა და კომპაქტური ობიექტების ტექნიკური მდგომარეობის ამსახველი ელექტრონული ბაზების ადმინისტრირება.

ზემოაღნიშნული მიმართულებებს სამინისტრო ახორციელებდა სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი 3 პირველადი სტრუქტურული ერთეულით და სამინისტროს სისტემაში შემავალი 3 ტერიტორიული ორგანოს მეშვეობით.

ყველა სტრუქტურული ერთეული ასრულებდა მათზე დებულებით ნაკისრ ფუნქცია-მოვალეობებს, ამიტომ ყურადღებას არ გავამახვილებთ მათ მიერ ტექნიკური ხასიათის მქონე შესრულებულ სამუშაოებზე და ძირითად აქცენტებს გავაკეთებთ სამინისტროში განხორციელებულ პროგრამებზე და ძირითად მიმართულებებზე.

საანგარიშო პერიოდში სამინისტროს ბიუჯეტი შეადგენდა - **2 505 520** ლარს.

აქედან:

- შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული იყო -**1 419 001** ლარი (მთლიანი ბიუჯეტის 56.6 %).
- მოსამსახურეთა რიცხოვნობა შეადგენდა - **125** საშტატო ერთეულს;
- ბიუჯეტით დაფინანსებული პროგრამები განისაზღვრა - **646 050** ლარით (მთლიანი ბიუჯეტის 25.7%).
- პროგრამების ფინანსურმა ათვისებამ შეადგინა - **99.8%** ლარი.

სამინისტროს მიერ ადმინისტრირებადი პროგრამები:

- **დევნილთა საცხოვრებლებში მცირე ფასიანი სარემონტო სამუშაოების უზრუნველყოფის**

პროგრამა:

- 2020 წლის მანძილზე მთავრობის წარმომადგენლობებისა და სამინისტროს ბიუჯეტით გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა - **23 000** ლარი. ხოლო, შიდა

რესურსის მობილიზების შედეგად, პროგრამის ჯამური ფინანსური რესურსი განისაზღვრა - **27 100** ლარით.

- ათვისებული თანხა - **26 656 86** ლარი.
- მცირე და გადაუდებელი სახის სარემონტო სამუშაო ჩაუტარდა **26** დევნილთა ჩასახლების ობიექტს (**1471** ოჯახი)

- **დევნილთა ჩასახლების ობიექტებში სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფის პროგრამა**

- ფინანსური რესურსი - **80 000** ლარი.
- ათვისებული თანხა - **78379.29** ლარი.
- სარემონტო-აღდგენითი სამუშაო ჩაუტარდა **6** დევნილთა ჩასახლების ობიექტს (144 ოჯახი).

- **აფხაზეთიდან დევნილთათვის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ ობიექტებზე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შექმნის ხელშეწყობის პროგრამა**

- ბიუჯეტით გამოყოფილი ფინანსური რესურსი - **4 900** ლარი.
- ათვისებული თანხა - **1750.94** ლარი.
- დაფინანსდა **38** ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შექმნის სანოტარო მომსახურება.

- **დევნილთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა**

- 2020 წლის მანძილზე მთავრობის წარმომადგენლობებისა და სამინისტროს ბიუჯეტით გათვალისწინებულმა ასიგნებებმა (პროგრამაში მობილიზებული ჯამური ფინანსური რესურსი) შეადგინა - **660 000** ლარი.
- ათვისებული თანხა - **659 850** ლარი. მათ შორის მთავრობის წარმომადგენლობების მიერ იანვარ-თებერვალში ათვისებულმა თანხამ შეადგინა - **121 850**.
- ერთჯერადი ფინანსური სახის დახმარება გაეწია - **4 412** განმცხადებელს.

P.S. ამხანაგობის შექმნის ხელშეწყობის პროგრამიდან **3 000** ლარი და სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფის პროგრამიდან დარჩენილი ნაშთი **1 100** ლარი მიემართა მცირეფასიანი სარემონტო სამუშაოების უზრუნველყოფის პროგრამაში, სადაც ჯამურმა ფინანსურმა რესურსმა შეადგინა **27 100**.

- **დევნილთა კანონიერი უფლებების დაცვა და მათი სამართლებრივი მხარდაჭერა**;

  - იურიდიული დახმარება გაეწია **315** დევნილს;
  - მომზადდა სარჩელის, განცხადების, შუამდგომლობის პროექტები;
  - გასვლითი ღონისძიებების ფარგლებში მოსახლეობას დაურიგდა საინფორმაციო
    შინაარსის ბუკლეტები, რომლებშიც ასახული იყო ბიუჯეტით დაფინანსებული
    პროგრამები.

- **სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა;**

2020 წელს სამხედრო სავალდებულო სამსახურში **144** წვევამდელი იქნა გაწვეული. მათ შორის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების შესაბამისი სამსახურების მიერ, აღმოსავლეთი -**72**, იმერეთი -**23**, სამეგრელო-**48**, აჟარის მუნიციპალიტეტი **1** წვევამდელი გაწვეულია სამხედრო სავალდებულო სამსახურში. გაწვევიდან გადავადების მოსაკრებელი (**2 000** ლარი) გადაიხადა **9** (სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის **90%** ირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო **10%**-რესპუბლიკურ ბიუჯეტში), ხოლო ალტერნატიულ სამხედრო სავალდებულო სამსახურში კი გაწვეულია **1** წვევამდელი.

- **მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენა ან/და ფოტოიდენტურობის დადასტურება.**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მაძიებელი) პირთა ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენ კომისიებში შემოსული **258** განცხადებიდან **213**-ზე დადებითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, უარყოფითი - **37**, შეჩერებულია წარმოება **2** განცხადებაზე, ხოლო ადმინისტრაციულ წარმოებაშია **6**;

- **პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღების ხელშეწყობა;**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები - პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირების ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და საცხოვრებელი ადგილის დადგენის მიზნით, სამინისტროში არსებულმა შესაბამისმა კომისიამ განიხილა **46** განცხადება. აქედან, კომისიაზე გამოუცხადებლობის გამო **6** ეთქვა უარი, ხოლო დანარჩენზე დადებითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

4. სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებული აქტივობები:

4.1. ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ:

2020 წლის პირველ კვარტალში, დეპარტამენტის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა სამართლებრივი და ტექნიკური სახის ქმედებები წარმომადგენლობებისა და სამინისტროს შერწყმის მიმართულებით. შემუშავდა შერწყმის ეტაპების მარეგულირებელი აქტები (დებულებისა და საშტატო ნუსხის პროექტები, სამინისტროსა და ტერიტორიული ორგანოების პროფესიულ საჯარო მოხელეთა სამუშაო აღწერილობები, დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები).

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ორგანიზებითა და ჩართულობით:

- მომზადდა საკადრო ბრძანების (დანიშვნა, გათავისუფლება, შვებულება, მივლინება) – **380** პროექტი;
- ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულების **38** პროექტი;

- ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონულ პროგრამაში (ehrms) პროგრამაში აიტვირთა შესაბამისი ბრძანებები.
- შესრულდა**281** კორესპონდენცია;
- **14** ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადდა და ჩატარდა სხვადასხვა სახის (ღია, დახურული, შიდა) კონკურსი.
- სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად, გაკეთდა განაცხადები საგაზაფხულო და საშემოდგომო ნაკადებზე;
- განყოფილების ორგანიზებით, მეთოდური დახმარებით ჩატარდა სამინისტროსა
  და ტერიტორიული ორგანოების მოხელეების შუალედური და საბოლოო შეფასება.

იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილების მიერ:

- მომზადდა ძირითადი საქმიანობის ამსახველი - **189** ბრძანების პროექტი;
- განხორციელდა შერწყმის პროცესის ორგანიზება და სამართლებრივი უზრუნველყოფა.
- განხორციელდა შემოსული კორესპოდენციის რეგისტრაცია, გადამისამართება, გასული კორესპოდენციის რეგისტრაცია.

  მიღებული კორესპოდენცია:
- **1120** კორესპოდენცია;
- შიდა მიმოწერა **591**.
- სამინისტროდან გავიდა **969** წერილი..

საფინანსო და ლოჯისტიკური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ:

- განხორციელდა სამინისტროს ბიუჯეტის პროექტის შემუშავება და დამტკიცებული
  ბიუჯეტის კვარტალური გაწერა.
- დაგეგმილ იქნა სხვადასხვა ორგანიზაციებთან **(შპს, ი/მ, ფ/პ)** განსახორციელებელი შესყიდვის კატეგორიები, სახეობები და ოდენობები;
- განხორციელდა ბიუჯეტით დაფინანსებული პროგრამების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება, მათ შორის: სოციალური და ინფრასტრუქტურული პროგრამების გადარიცხვები, სატენდერო გადარიცხვები, გამარტივებული შესყიდვის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებები/გადარიცხვები.

4.2. დევნილთა საქმეების დეპარტამენტის მიერ:

- განხორციელდა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის (მათ შორის კომისიები) კოორდინაცია და მონიტორინგი.
- მონაწილეობა იქნა მიღებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და მინისტრის სამართლებრივი სახის აქტების პროექტების შემუშავებაში;
- განხორციელდა ტერიტორიული ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებების კონტროლი, შესრულებული სამუშაოების ანალიზი, გამოვლენილი ხარვეზების მითითება.

- ერთიანი მონაცემთა ელექტრონული ბაზის ადმინისტრირება და ამ მიზნით (პერსონალურ მონაცემთა მიღება/გაცვლა) თანამშრომლობა სსიპ ,,სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან“, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოსთან“ და სხვა შესაბამის დაწესებულებებთან;

ტერიტორიულ ორგანოებთან ურთიერთობისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების ორგანიზებით:

- ევროპის უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად, **6** დევნილმა სტუდენტმა გაიარა უცხო ენების სწავლების კურსი;
- **1** სტუდენტი სასწავლო პროგრამის ფარგლებში 3 თვით გაემგზავრა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში;
- განყოფილების ჩართულობით დაფინანსდა **38** ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის
  შექმნა.

4.3. შიდა აუდიტის სამსახურის მიერ:

- ჩატარდა სამინისტროს ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის საფინანსო - ლოჯისტიკური უზრუნველყოფის განყოფილების შესაბამისობის აუდიტი;
- სამინისტროს ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების შესაბამისობის აუდიტი;
- სამინისტროს დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ტერიტორიულ ორგანოებთან ურთიერთობისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების შესაბამისობის აუდიტი.

5. სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებში:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მაძიებელი) პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენისა და/ან ფოტოიდენტურობის დამადასტურებელი კომისიების მიერ:

- ჩატარდა **146** სხდომა;
- განხილულ იქნა **258** განცხადება;
- მიღებულ იქნა **213** დადებითი და **45** უარყოფითი გადაწყვეტილება.
- მომზადებულ და გაცემულ იქნა სხვადასხვა შინაარსის **734** ცნობა.

ერთჯერადი მატერიალური დახმარების გამცემი კომისიების მიერ:

- ჩატარდა **54** კომისიის სხდომა;
- დარეგისტრირდა **4 795** განცხადება:
- დაკმაყოფილდა **4 416** განცხადება;
- უარი ეთქვა **379** განმცხადებელს;
-

კატეგორიების მიხედვით:

- მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები - **8**, გაიცა - **1200** ლარი;
- მკვეთრად გამოხატული შშმ პირები -**688**, გაიცა - **103 200** ლარი;
- მარჩენალდაკარგულები - **519**, გაიცა - **77 850** ლარი;

- დედ-მამით ობოლი არასრულწლოვნები - **12**, გაიცა -**1 800** ლარი;
- ოთხი და მეტ არასრულწ.ოჯახები - **264**, გაიცა - **39 600** ლარი;
- 100 წელს გადაცილებული მოქალაქეები - **13**, გაიცა - **1 950** ლარი;
- ბავშვობიდან ინვ. და უნარშეზღ. ბავშვები - **503**, გაიცა - **75 450** ლარი;
- სულ კატეგორიები -**2007**, გაიცა - **301 050** ლარი;
- სხვა მძიმე სოც.მდგომარეობაში მყოფი ოჯახები - **2409**, გაიცა - **358 950** ლარი.

მცირე და გადაუდებელის სახის სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების განმსაზღვრელი კომისიების მიერ:

დევნილთა კომპაქტური ჩასახლების **26** ობიექტში ჩატარდა **26 656 86** ლარის ღირებულების მცირე და გადაუდებელი სახის სარემონტო სამუშაოები.

წვევამდელთააღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურების მიერ:

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიული ორგანო:

- აყვანილია აღრიცხვაზე - **40** რეზერვისტი (მათ შორის **3** ოფიცერი);
- მოხსნილია აღრიცხვიდან -**76** რეზერვისტი;
- გაიცა რეზერვისტის დროებითი მოწმობა-**97**;
- გაწვეულია საკონტრაქტო სამსახურში - **16** რეზერვისტი;
- აყვანილიასამხედროაღრიცხვაზე – **637** წვევამდელი;
- მოხსნილია აღრიცხვიდან -**283** წვევამდელი;
- სამხედრო სამედიცინო საექსპერტო კომისიაზე წარდგენილ იქნა **156** წვევამდელი;
- გაწვეულია სავალდებულო სამხედრო სამსახურში **72** წვევამდელი:

  მათ შორის:
- შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ ქვედანაყოფებში – **37** წვევამდელი;
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში - **5** წვევამდელი;
- თავდაცვის სამინისტროს ხაზით - **14** წვევამდელი;
- სდსს -**13** წვევამდელი;
- იუსტიციის ხაზით -**1** წვევამდელი;
- გადაირიცხა რეზერვში ზღვრული ასაკით - **409** წვევამდელი;
- ჩაირიცხა შსს დაცვის პოლიციაში (საკონტრაქტო სამსახური)-**17** წვევამდელი;
- თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში (საკონტრაქტო პროფესიულ სამსახურში გაწვეულია)-**3** წვევამდელი;
- **9** წვევამდელმა გადაიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან გათავისუფლების მოსაკრებელი, საიდანაც **90%** გადაირიცხა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო **10%** აფხაზეთის რესპუბლიკურ ბიუჯეტში;
- საქართველოს ქრისტიანული, ევანგელისტური, პროტესტანტული ეკლესიის „ბიბლიური თავისუფლება“ მღვდელთმსახურობის წოდების მინიჭების მოწმობა

  წარმოადგინა - **165** წვევამდელმა;

- საერთაშორისო მართლმადიდებლური ლაზურ-ხალიბური კატაკომბური ეკლესიის მღვდელთმსახურის წოდების მინიჭების მოწმობა წარმოადგინა - **3** წევამდელმა (მოქმედი კანონმდებლობით სამხედრო სავალდებულო სამსახურში
  გაწვევას არ ექვემდებარებიან).
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტს გადაეცა დროებითი საცხოვრებელი ადგილის და საზღვრის კვეთის დადგენის მიზნით **841**
  წევამდელის სახელობითი სია;
- საქალაქო სასამართლოს გადაეცა **38** წევამდელის საქმე.

იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიული ორგანო:

- ჩარიცხულია რეზერვში **117** წევამდელი;
- აღრიცხვაზე აყვანილია **18** რეზერვისტი:
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან მიღებულია **14** პირადი საქმე.
- სპეციალურ აღრიცხვაზე აყვანის გამო მოიხსნა საერთო აღრიცხვიდან **8** პირი;
- აყვანილია ხელახალ სამხედრო აღრიცხვაზე **7** რეზერვისტი;
- უწყების სპეც-აღრიცხვაზე აყვანილია **8** პირი;
- გაცემულია **39** რეზერვისტის დროებითი მოწმობა;
- **113** სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობა.
- უწყება ჩაბარდა**239** წევამდელს;
- სამხედრო სამსახურში ჩარიცხულია - **23**;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა - **8** წევამდელის საქმე;
- ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაეცა -**10** საქმე;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალებში (ვადიანი სამხედრო სამსახური) გაწვეულია - **16**;
- დაცვის პოლიციაში - **7**.
- კანონმდებლობის შესაბამისად გადავადება მიეცათ - **168** წევამდელს;
- სამსახურში შემოსულია **162** წერილი.

სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანო:

- აყვანილია აღრიცხვაზე -**74** რეზერვისტი;
- მოხსნილია აღრიცხვიდან - **2** რეზერვისტი;
- გაიცა რეზერვისტის დროებითი მოწმობა - **74**;
- გაწვეულია საკონტრაქტო სამსახურში - **32** რეზერვისტი;
- აყვანილია სამხედრო აღრიცხვაზე - **169** წევამდელი;
- მოხსნილია აღრიცხვიდან **121** წევამდელი;
- მუდმივმოქმედ სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისიაზე წარდგენილ იქნა **82** წევამდელი.

გაწვეულია სავალდებულო სამხედრო სამსახურში - **48** წევამდელი.

მათ შორის:

- შსს გასამხედროებულ ქვედანაყოფში - **33** წვევამდელი;
- თავდაცვის სამინისტროს ხაზით - **14** წვევამდელი;
- გადაირიცხა რეზერვში ზღვრული ასაკის -**200** წვევამდელი;
- ქვემდებარეობით გადაიგზავნა **23** წვევამდელის პირადი საქმე;
- **9** წვევამდელი ჩაირიცხა შსს დაცვის პოლიციის საკონტრაქტო სამსახურში;
- **9** წვევამდელი გაწვეულ იქნა თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში (საკონტრაქტო პროფესიულ სამსახურში;
- **1** წვევამდელმა გადაიხადა კანონით განსაზღვრული ოდენობის გადავადების მოსაკრებელი;
- გაიცა წვევამდელის სამხედრო სააღრიცხვო მოწმობა - **387** წვევამდელზე;
- საქართველოს ქრისტიანული, ევანგელისტური, პროტესტანტული ეკლესიის ბიბლიური თავისუფლების მღვდელმსახურობის წოდების მინიჭების მოწმობა წარმოადგინა - **43** წვევამდელმა;
- წვევამდელის დროებითი საცხოვრებელი ადგილის და საზღვრის კვეთის დადგენის მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის დეპარტამენტს გადაეცა - **31** წვევამდელის სახელობითი სია;
- გადაეცა საქალაქო სასამართლოს - **0**;
- ჩატარდა გამწვევი კომისიის სხდომა -**29**.

სამინისტროს მიერ განხორციელებული სხვა აქტივობები:

- **„ფილტვის ცენტრში“ გამგზავრების ხელშეწყობა**
  - განხორციელდა დევნილი მოსახლეობის ინფორმირება დაბა აბასთუმანში მდებარე ,,ფილტვის ცენტრში'' დასვენების შესახებ.
- **საკარანტინე სივრცეებში გადაყვანა**
  - განხორციელდა ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსული **800**-მდე პირის საკარანტინე სივრცეებში ტრანსპორტირება. საკარანტინე ვადის გასვლის შემდგომ

    კი მათი საცხოვრებელ მუნიციპალიტეტებში გადაყვანის ორგანიზება (ჯამური ღირებულება **12000** ლარი)
- **პროდუქტების დარიგება**
  - სასურსათე კალათებისა და სააღდგომო ნობათების მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენდა კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში მცხოვრები **70** წელს გადაცილებული დევნილი პირები, ასევე, სხვა კატეგორიის ბენეფიციარები (მაგალითად, მრავალშვილიანი ოჯახები, ომის ვეტერანები, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახები და ა.შ.)
  - სულ დარიგდა **9 100** სასურსათო კალათა და **4877** სააღდგომო ნობათი.
  - შობა-ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით დარიგდა საჩუქრები 3-დან 8

    წლამდე ასაკის სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი (**30 000**-ზე ნაკლები სარეიტინგო

ქულა) სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი ბავშვებისათვის. სულ დარიგდა **3 380** სასაჩუქრე პაკეტი.

- მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით, დევნილთა ჩასახლებებში ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოები;
- დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში, დამონტაჟდა **120** ერთეული ხელის სადეზინფექციო დისპენსერები (გადაეცათ სადეზინფექციო ხსნარი).

სამინისტროს მონაწილეობა გულისხმობდა დევნილთა კომპაქტური ჩასახლებების ობიექტებისათვის ხელის სადიზინფექციო დისპენსერებისა და ერთჯერადად სადიზინფექციო ხსნარის შეძენასა (5 490 ლარი) და დევნილთათვის (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა, ჩასახლების წარმომადგენელი/წარმომადგენლები) გადაცემას მათ საცხოვრებელ შენობებში (სულ **65** ობიეტი) დამონტაჟების მიზნით.